

გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლების და
სტუდენტების საერთაშორისო კონკურსში Quarry Life Award საპრიზო
ადგილის დაკავება



20 ნოემბერს, გამოფენების ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო - საგანმანათლებლო კონკურსის - Quarry Life Award „ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობა კარიერებზე“ დაჯილდოების ცერემონიალი.

ცერემონიაზე დასახელდნენ საქართველოში კონკურსის გამარჯვებულები, რომელთაც კომპანია ჰაიდელბერგცემენტმა ფულადი პრიზები გადასცა - 5000, 3000 და 1500 ევრო.

ღონისძიებას ესწრებოდნენ გარემოს დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე, ჰაიდელბერგცემენტის გენერალური დირექტორი მიხეაელ ჰამპელი, გაყიდვებისა და მარკეტინგის დირექტორი აკაკი ჩხაიძე და კომპანიის სხვა წარმომადგენლები, საქართველოში კონკურსის ჟიურის წევრები, მეორე ეტაპზე გადასული 5 კანდიდატი, ასევე გარემოსდაცვითი ორგანიზაციების და სხვადასხვა სახელმწიფო უნივერსიტეტების ეკოლოგიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები.

დაჯილდოებულთა შორის იყო ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ წარდგენილი პროექტი „ეროზირებულ ზედაპირებზე ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება - გაზრდა და ლანდშაფტის რესტავრაცია (კავთისხევის კარიერი)“, რომელმაც დაიმსახურა მესამე საპრიზო ადგილი. პროექტის ხელმძღვანელია უნივერსიტეტის პროფესორი თამაზ ჯიქია. პროექტში მონაწილეობას იღებდნენ როგორც უფროსი თაობის წარმომადგენლები ს. გველესიანი, ვ. აბზიანიძე, აგრეთვე აქტიურად მუშაობდნენ პროექტის თეორიული საკითხების დამუშავებასა და მათ პრაქტიკულ განხორციელებაში სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტები ნ. ფოფორაძე, გ. აბაშიძე, ვ. ხმალაძე.

14 დეკემბერს გამოცხადდება საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულები.



გამარჯვებულები



დაჯილდოების ცერემონიის ეპიზოდები